



„ღმერთი
სამშობლო მიცოცხლე,
მშინარეც
ამას ვდუღუნებ!“

ნომური ეპიგრაფა გაზრდის ათი წლის იუბილეს

კავკასია Kavkasia

პროგრული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №5-6 (69-70) ივლისი-აგვისტო 2013 წელი შანი 1 ლარი

მურმან ლებანიძე

თუშები მიყვარან...

თუშები მიყვარან ტანად დიდები!
სიტყვაძვირები და გულით მდიდრები!
საქართველოს მთებში მონაპირენი!
საქართველოს მთებში მონადირენი!
განაძეები, ვაშაძეები,
ცისკარიშვილები ლაშქარს დევები!
გაფრინდაულები მჭრელი სატყვერებით,
თვითონ ცოტანი, მაგრამ ცხვარბევრები!
აფთარაულები, უშარაულები —
მთას რომ მერცხლის ბუდედ უჩანთ აულები!
ჩაღმა თუშები და თუშები წოვანი —
საქართველოს გზებზე მარად მგზოვარნი!
თუშები მიყვარან სულში და გულში —
ღმერთი!
რჯული!
არა ვარ თუში!

იზა ჯაჭვიაძე


ახმეტა-მატანი

ქაქუსა ჩოლოყაძეილს

მზის სხივთა კრთომით გაღვივებულმა
ღვთიურმა სიომ მოგიაღერსა...
აი, დამფრთხალი თქვენი ბავშვობა,
ასდევს და ასდევს ალაზნის შრიალს...
აი, ახმეტის კრიალა თვალთ,
პანკისთან ახლოს მოსულა ია
და ნასახლარი ჩოლოყაშვილთა,
თქვენი სახლ-კარის მცველი ბილილა.
წითელ ფერებში ელვა ინთება,
მატნის ველებზე მეომრებს გხედავ,
მომრავლებულა ქაქუსას ჯარი,
ჭახჭახებს შაშვი, შრიალებს ზეცა.
ყორნების ფრთებში ელვად ჩამჯდარი
ახმეტა თვალწინ გამინებიფრდა,
ღამე გაფრინდა და მზე დიდგულად
გამოდის ბნელი ტალანებიდან.

თუშეთი, კვაკლოს ციხე.

იზა ჯაჭვიაძის ფოტო



ლეილა ლეგაშვილი

ახმეტას

მოდის და ჩუმიად დუღუნებს ჩვენთვის
ეს ალაზნის ტალღებ ლიცლიცა,
სპერონას მთებმა ნისლი გვესროლა
ცა შემოდგომისფრად გაიცრიცა.
გელარ ვერვით ამ მხრებით მტევნებს
ისმის მინდვრების ვაზის ჩივილი,
ეს ახმეტაა, ჩვენი ახმეტა,
თავის ღმერთით და თავის ტკივილით,
კვეტურა სიოს დაღაღად გვაშლის
და ბასტიონზე წარსული ბრწყინავს,
პანკისში თორღვა პანკელის ციხე
ტანზე ისწორებს კიდევ ერთ დილას.
ფშაგლებში რიფრაფს მოჰყვება მუზა
აქ ერთგულებაც იციან, იჭვიც,

სათქმელს ლექსებით გეტყვიან უცბად,
დედის მუცლიდან დაყოლილ ნიჭით.
მთის ფერდობებზე აკრულა ცხვარი
ზვაგაქვემ მდინარის რაკრაკი ისმის,
ბალახზე ბროლად გაშლილა ცხვარი,
კლდეებს ქუდებად ახურავს ნისლი,
თუშეთის მთებში, ჯადოსნურ მთებში,
სადაც ქვასაც კი სული უდგია,
დიკლო, შენაქო, ბოჭორნა, ფარსმა,
თითქოს ზეციდან ჩამოუგდიათ.
აქ ყვავილების დაგათრობს სუნი,
აქ მზეც სხვაგვარად ისწორებს ნაწნავს,
თუ სიყვარულით ადუღდა გული,

გვირგვინი სწორედ აქ უნდა დაწნა.
აქ უნდა გული მოიგო მისი,
ვისი თვალბეც გვესროლა ქამანდს.
გსურს ზეცას მისწვდე? მიჰყევ მთის ტანზე
ცხენის ფლოქვებით შემორტყმულ ქამარს.
შეები ქარებს, გაუძელ ყინვას,
და გამძლეობა გქონდეს მწვემსური,
მიიღე ძმებად ქისტი და ოსი,
სახლიკაცებად თუშ-ფშაგ-ზეგსური...
რა ლამაზი ხარ, ჩემო ახმეტაგ,
ხევიდან ტყემდე, მთიდან ბარამდე,
ალაგერდიდან გეწიოს ლოცვა,
სამარადჟამოდ ღმერთი გფარავდეს.



ისინი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ ეროვნული გმირი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი!..

საქართველოს ეროვნული გმირი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი 1888 წლის 14 ივლისს, კახეთში, ახმეტის რაიონის სოფელ მატანში დაიბადა. 1907 წელს დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. იგი 21 წლის გაიწვიეს ჯარში. 1912 წელს გათავისუფლდა სამხედრო სამსახურიდან და საქართველოში დაბრუნდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე კვლავ გაიწვიეს ჯარში და სარაყამის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის დააჯილდოვეს ოქროს ხმლით.

1915 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ახლად დაფუძნებულ საქართველოს ცხენოსანტარაზში ჩაეწერა.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და შევიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩოლოყაშვილი საქართველოს არმიის პოლკოვნიკი გახდა და მონაწილეობდა ქართული კავალერიის ჩამოყალიბებაში. 1919 წელს გახდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

1921 წელს რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის და ოკუპაციის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა უცხოეთში გადაიხვეწა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამშობლოში დარჩა და გადაწყვიტა იარაღით ებრძოლა ქვეყნის გათავისუფლებისათვის. მან კახეთში ჩამოაყალიბა პირველი მებრძოლების ჯგუფი – საქართველოს შეფიცულები. 1922 წლის ივნისში ჩოლოყაშვილი თავის რაზმთან (შეფიცულებთან) ერთად პირველად შეება წითელ ჯარს, რამაც დასაბამი მისცა საქართველოს მრავალწლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

1924 წლის 29 აგვისტოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყება მარცხით დასრულდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი მებრძოლებით იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და საფრანგეთში გადასვლილიყო.

1924 წლის 29 აგვისტოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყება მარცხით დასრულდა. არსებობს ალექსანდრე სულხანიშვილის მონათხრობი „შეფიცულთა რაზმის“ შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხევსურეთში დადგენებულ რუსეთის ჯარის ნაწილებთან ბრძოლის ეპიზოდებზე.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი მებრძოლები იძულებულნი გახდნენ, სამშობლო დაეტოვებინათ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი 1930 წლის 27 ივნისს, პარიზში გარდაიცვალა. იგი ჯერ სენტუანის სასაფლაოზე დაკრძალეს, შემდეგ კი ლევილის ქართველთა საძმო სასაფლაოზე გადასვენეს.

2005 წლის 20 ნოემბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ზუსტად 14. 40 საათზე სპეციალური რეისის თვითმფრინავით პარიზიდან ჩამოსვენენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი. სარიტუალო ბატალიონის ჯარისკაცებმა ნეშტი სპეციალურ კვარცხლბეკზე დაასვენეს. ამ ცერემონიალს დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ახლობლები, ჩოხოსანთა, თავადაზნაურთა საზოგადოების წარმომადგენლები.

საკლესიო ზარების რეკვის დასრულებისას სამხედრო ორკესტრმა სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტს სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველო მიეგება და ამ ხალხმრავალ ფონზე უკვდავ ქართველ ეროვნულ გმირს მისმა ახმეტელმა თანამემამულემ, ბრწყინვალე მომღერალმა და საქართველოს ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა ჟრუანტელის მომგვრელი მშობლიური და ზავეროვანი ხმით შესრულებული სიმღერა: „დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან“... შეაგება.

წმინდა სამების ტაძრის ეზოში ჭიშკრიდან ტაძრის შესასვლელამდე ორ მწკრივად, საქართველოს, სახელმწიფო დროშებით ხელში სარიტუალო სამსახურის ჯარისკაცები იყვნენ განლაგებულნი. ვიდრე გმირის ნეშტს ტაძარში დაასვენებდნენ, ეზოში თეატრალური წარმოდგენა გაიმართა. გმირის ნეშტს 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს სამფეოვან დროშასთან ერთად, ახალი, ხუთჯვრიანი დროშაც გადააფარეს და დაკრძალვამდე გმირის ნეშტს ქართულ მიწასთან ერთად მშობლიური მატნიდან და ლევილიდან ჩამოტანილი მიწაც მიაყარეს.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა.

მეორე დღეს 2005 წლის 21 ნოემბერს მთაწმინდის მიწაზე გულში ჩაიკრა ნანატრი შვილი, დიდი სარდალი, საქართველოს ეროვნული გმირი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი.

ნათელში იყავ მამულისათვის დამაშვრალი დილო რაინდო!..

ქედი მიიხარეთ, ბატონებო და ქალბატონებო!



ტონებო, დღეს საქართველო თავის ძირძველ დიდებას მარჯავს!..

გთავაზობთ იმ მებრძოლ-შეფიცულთა სიას, რომელთა დროშა საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო და რომელმაც შეფიცულებთან ერთად დატოვა სამშობლო: თომა ბექაური, ალექსანდრე კარგარეთელი, გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე, ელიზბარ ვანძაძე, რაფიელ ერისთავთ ალექსანდრე სულხანიშვილი, სერგო მაისურაძე, ალექსანდრე ბაღურაშვილი, ილია ქარშიძე, ალექსანდრე ცხვედაძე, გულა პავლიაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, შალვა ნებიერიძე, ლელო ჩიქოვანი, მიშა ლაშქარაშვილი, დავით რევაზიშვილი, გაბო ბერბეგიშვილი, ვასო მარჯანიშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, სიკო ალიმბარაშვილი, შალვა ჯავრიშვილი, ლევან ჯავრიშვილი, შალვა ამირეჯიბი, ელიზბარ მავაშვილი, ჯონდი დადიანი, სარდიონ კუჭავა. მარადიული ნათელი ქართველ გმირებს!..

იზა ჯაჭავაძე



ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჩამოსვენება საქართველოში. 2005 წლის 21 ნოემბერი

ზ ი კ ი ნ ა რ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი

ბატრიონის ომმა მტერიც და მოყვარეც ერთხელ კიდევ დაარწმუნა ქართველი ხალხის გაუტეხელობაში, უძლეველობასა და უკვდავებაში, - კვითხულობთ დედას ისტორიაში.

რაოდენ საამაყო თითოეული ახმეტელისათვის იმის განცდა, რომ 1659 წლის ბატრიონის ცნობილი აჯანყების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ახმეტის მკვიდრი შვილი იყო, რომელმაც თავისი სამაგალითო გმირობითა და სამშობლოსათვის გაუგონარი თავგანწირვით, არამარტო საკუთარი პიროვნება უკვდავყო სამარადყოფთად, საკვებონდ გაამზინა და საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ახმეტის სახელიც, რითაც ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა ახმეტელთა ფასდაუდებელ წვლილს, დედასა და ამაგს ერისა და ქვეყნის წინაშე.

მართალია, საქართველოს თავისი სამათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში მრავალი გმირი და გმირთაგმირი ჰყავდა, რომელთაც თავისი მახვილი მომხვედურთა და მოღალატეთა მოგერიებაში გაცვიოთეს და საკუთარი სიცოცხლე უყოყმანოდ მიიტანეს დედასაქართველოს სამსხვერპლოზე. მაგრამ სულ სხვა იყო ბიძინა ჩოლოყაშვილის



თავადება და თავგანწირვა, რამეთუ ამ ბუმბერაზ ადამიანს ბედმა არგუნა ერისა და ქვეყნისათვის თავდადებულთა და წამებულთა შორის, წამებულთა წამებულის ტვირთი ეტვირთა.

ისევ დედა ისტორიას მოვიშველიებთ: „ - ასოეულებად ასჭრეს და აკაფეს („ხოლო უწყლოთა მათ მტარვალთა იწყეს რა მოჭრად თვითეულთა ასოთა ყოველივე თითნი ხელისა და ფეხისანი მოჭკვეთნეს თვითეულად სახსარ-სახსრად და მერე მაჯა-იდაყენი და

ფოტოზე:
ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები

მხარნი და ფეხნი კოჭებიდან მუხლებამდე და ესრეთ თეძონიცა“...

„ასოეულებად აჭრილნი და აკაფულნი ისრებით დაცხრილეს, მახვილებით დაჩეხეს, ტყეებით დახვრიტეს...“

ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაშთები ევროპელმა კათოლიკე ბერებმა მოიპარეს და იდუმალ დაკრძალეს, სადაც უცნობ ადგილას“...

მართლაც რომ ბედნიერია ის ერი, რომელსაც ასეთი მამულიშვილები ჰყავს.

ორმაგად ბედნიერები არიან ახმეტელები, რომლებიც დიდი ბიძინას ნატერფალ მიწაზე ცხოვრობენ.

პირველი ოქტომბერი საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ბიძინა ჩოლოყაშვილის ხსენების დღეა.

როგორც იქნა დიდი ხნის ოცნება აუსრულდათ ახმეტელებს: მრავალრიცხოვანი მრევლის თხოვნითა და თაოსნობით, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მშენებლობა კარგა ხანია, დასრულდა. ეკლესიის საძირკველის გაჭრა აკუროხა ალავერდელმა მიტროპოლიტმა აბბა დავითმა.

ათი წელი მკითხველთან ერთად

კითხვები და პასუხები




აი, უკვე ათი წელია, გაზეთი „კავკასია“ არა მარტო ქართველი მკითხველის საყვარელ გაზეთად იქცა, არამედ აფორიაქებული, ათასი პრობლემით დაძვარული და შეჭირვებული კავკასიის ხალხთა სულის სალბუნი და ქომაგია.

ჩემი უსაყვარლესი მეგობარი, პოეტი თვალსაჩინო ჟურნალისტი იზა ჯაჭვიაძე ამ გაზეთის რედაქტორი და სულისჩამდგმელია. სწორედ მისი დაუღალავი შრომის, მონღოლების და საქმის ერთგულების ნაყოფია ეს მნიშვნელოვანი გაზეთი არსებობას რომ განაგრძობს, გვესაუბრება ათას ეროვნულ პრობლემებზე და კეთილ ხილად არის ქცეული კავკასიის გულებსაკენ.

ძალიან გვიყვარხარ, ჩვენი უღალატო მეგობარი, იზა!

მადლობა გონაშვილი

მთასაგითი ამაყო!



ჩემო ძვირფასო დაო, გილოცავ შენი სულის ნაწილის, გაზეთ „კავკასიის“ ათი წლის იუბილეს. მთა ამავია, მაგრამ სიყვარულის და ერთგულების დაფასება იცის. მთა ყველას არ უშინდება. შენ ერთ-ერთი გამონაკლისი ხარ. მთელი შენი შეგნებული სიცოცხლე მიგიძღვნა მისთვის და ვერც მის გარეშე წარმოვიდგენია არსებობა. შესაშურია შენებრი ძალისხმევა, თავდადება, მადიებლობა. მრავალმხრივი ხარ, ბევრის მომსწრები, ლამაზი – შენაირი პირდაპირი და გულწრფელი ლექსები ავტორი.

გასაკვირია, ჭრელმა ქალაქმა როგორ ვერ შეგამღვრია, თავის ნებაზე როგორ ვერ შეგცვალა, არადა, რამდენი გაამამამაძლა, გააზედაპირა, გააუსულგულოვა!

დიდხანს იარე ჩემო დაო, ამ გასაოცარ ქვეყანაში, ასწავლე ოთახის ფინიქსს სიცოცხლის ფასი, მუდამ შეუვალი იყავი ორპირთა მიმართ. სადაც მისულიყავი, ბალახის ბიბინი, ხეთა შრიალი, ნაკადულთა ჩუხჩუნი მიგეტანოს.

რა კენათ, დედა (სამშობლო) ავად გყავს, ყველა ჭრილობა წამოუშალეს, ყველა ტკივილი განუახლეს.

შენ შენ წილ მაღამოს აზავებ მის სამკურნალოდ!

ჰოლა, გაგიმარჯვოს ღმერთმა!

ქრისტესმძიერი სიყვარულით გოჩა ხარანაშული

შეძას ქველზე მამული...



საოცარი სიმშვიდე, სიღამაზე სუფევდა უფლის ტაძარში - „სამებაში“ ნათელი და კეთილი სახეებით, სიყვარულით გამობარი ერთი დღე პოეტისა და თვალსაჩინო ჟურნალისტის იზა ჯაჭვიაძის მიერ დაარსებული გაზეთის - „კავკასიის“ იუბილესზე...

მაგრამ ეს დღე გასცდა გაზეთის იუბილეს და სიყვარულის დღესასწაულად იქცა... ამ დღის გმირი კი გახლდათ სწორედ ქალბატონი იზა, სიკეთითა და სიყვარულით სავსე, უანგარო და სხვათა ნიჭის დამფასებელი, შრომისმოყვარე, ფაქიზი სულის და სხვათა სულების არქეოლოგი და რაც მთავარია, სამშობლოზე უსახვლოდ შეყვარებული შემოქმედი.

ყველა გახარებული იყო იზა ჯაჭვიაძის სიხარულით. იშვიათად მინახავს საზოგადოება, ასე უყვარდეთ ადამიანი, მოღვაწე, როგორც ქალბატონი იზა მთელი საქართველოს მასშტაბით.

ლონისძიებებს ესწრებოდნენ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ფართო საზოგადოების წარმომადგენლები. საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაცყალა გონაშვილმა, რომელმაც ისაუბრა გაზეთის როლზე, მის პოპულარობაზე, იმ დიდ ღვაწლზე და თავდაუზოგავ შრომაზე, რომელსაც გაზეთის დამაარსებელი და სულის ჩამდგმელი იზა ჯაჭვიაძე ეწევა, იგი ყოველთვის ეხმადება მიმდინარე მოვლენებს, ცდილობს არ ჩამორჩეს დღევანდლობას და რაც მთავარია, მუდამ ამართლებს მკითხველის იმედს. დასარულს, მაცყალა გონაშვილმა საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით უდიდესი ჯილდო - გაფა ფმაველას სახელობის პრემია გადასცა იზა ჯაჭვიაძეს.

პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ერეკლე სალიანმა ვრცელ სიტყვაში აღნიშნა, რომ იზა ჯაჭვიაძე დიდი ვაჟას კვალზე მავალი მოღვაწეა, მისი პიროვნება და ქვეყნის ქალობა ყოველი ჩვენგანისათვის გადამდებია, იგი სხვაგვარად, ღალად შლის ფრთებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მთაზე წერს...

ლიანა გიზიაძე

სალბუნი სულისა

საქართველოს არცერთ კუთხეს არა ჰყავს ისეთი გულშემატკივარი და მისი წინსვლისთვის ნიადაგ მოფუსფუსე, როგორც გახლავთ საქართველოს მთის-მთიანეთის: თუშეთის, ფშავ-ხევსურეთის, მთიულეთ-გუდამაყრის, ხევის, სვანეთის და სხვა, როგორც ქალბატონი იზა ჯაჭვიაძეა. მის მიერ დაფუძნებულმა და სულჩადგმულმა გაზეთმა „კავკასია“ არსებობის ათი წლის მანძილზე უკვე მოასწრო მკითხველთათვის საყვარელ გაზეთად ქცევა: დახვეწილი და წმინდა ქართულით მონათხრობი, სმირ შემთხვევაში მივიწყებული და მოკრძალებული ადამიანების აღმოჩენა ქვეყნის მთელი რიგი რეგიონებიდან.



ამ გაზეთის ფურცლებიდან არა მარტო ყველა ჩვენთაგანმა იპოვა სალბუნი სულისა, არამედ უამრავ ეროვნულ საქმეს მიეცა დასაბამი.

„კავკასია“ ოდენ მთის პრობლემებზე კი არა, სრულიად საქართველოს სატყვევარზეც გვესაუბრება. ეძებს ქვეყნის გადარჩენის გზებს, ნიადაგ ფიქრობს იმაზე, რომ ჩვენმა „ჩრდილოელმა ძმამ“ ვერ აისრულოს თავისი ისტორიული წაილი, ვერ დააჩქოს და ვერ გაარუსოს კავკასია! ბარაკალა ძვირფასო იზა, ვესალმები და ტაშს ვუკრავ ჩემი საყვარელი გაზეთის „კავკასიის“ ათწლოვან იუბილეს.

ოქტენი რევაზ მიშვილაძე

«კავკასია» მზის სხივივით ანათებს

გაზეთი „კავკასია“ მზის სხივივით ანათებს საქართველოში და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის მთიან რეგიონებში. გაზეთის ყურადღების მიღმა არ რჩება არცერთი კეთილი თუ ცნობილი ადამიანი. მის ყოველ ნომერში წარმოჩენილია ხელოვნებისა თუ სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის შემოქმედთა ნაწარმოებები.



ეს ეროვნული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი მთლიანად ასახავს, როგორც კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ, ასევე მათ ყოფით თუ შემოქმედებით ცხოვრებას.

ამ მშვენიერ გაზეთს, რომელიც მაღალმხატვრული დონით (ვიზუალურად თუ შინაარსით) გამოირჩევა, ვულოცავ დაარსებიდან ათი წლისთავს, მის მთავარ რედაქტორს - იზა ჯაჭვიაძეს და სარედაქციო კოლექტის ვუსურვებ კვლავაც დიდ წარმატებებს.

გულო კობიაშვილი

მთის მომღერალი



ადრე „ლიტერატურული საქართველოს“ გამოსვლას ველოდებოდი დღესასწაულივით, მაღლობა ღმერთს ისევე განახლდა... ახლა, მიუსხედავად დღევანდელი საგაზეთო ბუმისა,

„კავკასიის“ ყოველი ნომერია ჩემთვის ერთგვარი სიხარულის და სიხალისის მომტანი. ის ჩემთვის არც მხოლოდ გაზეთია და არც მხოლოდ ინფორმაციის წყარო. იქიდან ჩემი ბებია-ბაბუები,

ჩემი წინაპრები მელაპარაკებიან... „კავკასია“ ჩემი მთიანეთის, ჩემი მთიელების სულის ანარეკლია. ასე მეონია ეს გაზეთი გაზეთი კი არა, სამშობლოში სამშობლოს მონატრებული ადამიანების სულისთქმა, სიყვარულით დარწმუნებულია...

როცა ახალ ნომერს ვიღებ, ერთი სული მაქვს, როდის მივალ სახლში, როდის განმარტოვდება და გადავმლი... რა მნიშვნელობა აქვს ვინ, ან ვისზე იქნება - გოჩა ხარანაული თუ ტარიელ ხარხელაური, თემურ ჩალაბაშვილი თუ კობა არაბული, მარინე თეთქუმანიძე თუ ელდინო საღარაძე... თუ მზია ხეთაგურზე, თუ მანანა დანგაძეზე, თუ, თუ, თუ... ვინც ან

ვისზეც არ უნდა იყოს სტატია, წერილი, ვიცი სულთ ხორცამდე მამულზე შეყვარებული, კავკასიის ღვიძლი შვილია ის...

გაანაროს ღმერთმა იზა ჯაჭვიაძე, რა მაღლიან თემებს ესება, რამდენი ზნეკეთილი და რაინდული სულის ადამიანი გავიცანი ამ მართლაც საოცარი გაზეთის ფურცლებზე... ჯერ მარტო გვარები ნახეთ, რა გვარებია - სუფთა, ნათელი, ცოტა უცნაური და საკრალური გვარები... ამ ჭუჭყლში, ამ ბაზარ-ქალაქში სული გეხუთება, პრესაც, ტელევიზიაც გახრჩობს, გრგვენის... „კავკასიასთან“ კი თითქოს მთაში ხარ, ცასთან, უფაღთან ახლოს ხარ, თითქოს ზეციურ საქართველოდან ბებია-ბაბუები გადმო-

სულან გაზეთის ფურცლებზე და გვიყვებიან როგორები იყვნენ, როგორ იბრძოდნენ, როგორ იღწვოდნენ და როგორები უნდა ვიყოთ ჩვენ, როგორ უნდა გვიყვარდეს, გვახსენებენ „ვისი გორისანი ვართ“...

„კავკასია“ არ არის მარტო მთის და მთიელების გაზეთი, აქ მთელი საქართველოა, მეტიც, მთელი კავკასიაა - ჩეჩენეთი, ინგუშეთი, ჩერქეზეთი, დაღესტანი... კავკასია მიღარდი წლისაა, აქედან წაიღეს ბერძენებმა სიბრძნე („ოქროს საწმისი“), აქაურ მთაზეა მიჯაჭვული ამირანი (პრომეთე)...

„კავკასია“ ჯერ 10 წლისაა, უკვე ბევრი თქვა და კიდევ ბევრს იტყვის...

ჯუშუბერი გობრიძიანი

ზნასო ერთიანი და გედნიერი საქართველო...



გვესაუბრება ანმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ნარბიზა ილქრიძე.

— თქვენი მხარის, კერძოდ, ანმეტის რაიონის აღორძინება-წინსვლისათვის და ხალხის დასაქმებისათვის რა მიგანიათ უმთავრეს საქმედ, სოციალურად დაუცველებისათვის და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფთათვის თუ არსებობს რაიმე დახმარება, თუ ბუდის ანაბრად არიან დარჩენილები და მინტერესებს, თქვენ რას აკეთებდით ამ მიმართულებით, როგორც რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, რა იყო და რა არის ამჟამად თქვენი უპირველესი ოცნება, ვიცი, რომ ანმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში თუმთა დიდი მოძღვრის და დიდებული მასწავლებლის, სახელოვანი მამულიშვილის დევენოზ გოჩიაშვილის და სერო გოუნიაშვილის ვაჟიშვილი — ზეზუნა გოჩიაშვილის მეუღლე ბრძანდებით. როგორ გრძობთ თავს ამ დიდებულ ოჯახში, რა სულიერებას ეზიარეთ და იქნებ მოგვითხროთ თქვენი საქმიანობის შესახებ?

— ანმეტის რაიონი სოფლის მეურნეობის მიმართულების რაიონია. აქ ეს დარგი წარმოდგენილია ძირითადად მევენახეობით. შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ ანმეტის რაიონში შედის მთლიანად თუშეთის ტერიტორია, შირაქის და ელდარის ტერიტორიის გარკვეული მონაკვეთი და ბოლო ჩამოთვლილ ადგილებში ძირითადად თუშები საქმიანობენ. იქ ქმნიან სარჩო-საბადებელს და შრომის შედეგად მიღებული პროდუქციის რეალიზაციით ქმნიან საკუთარი ოჯახების ეკონომიკას. ისიც მინდა ვთქვა, რომ ბოლო ხანებში აქაურ მეურნეს გაუჭირდა პროდუქციის რეალიზაცია (ყურძნის, ყველის, მატყლის, ცხვრის ხორცის და სხვა).

იმედი მაქვს, რომ რესპუბლიკაში ამუშავდება მატყლის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც დიდად შეუწყობს ხელს მეცხვარეობის დარგის აღორძინებას და იქ მუშახელის (მეცხვარეების) დასაქმებას.

ვიტყვი იმასაც, რომ ძალიან ბევრი საქმე გაკეთდა ამ ბოლო პერიოდში, კერძოდ, ხდება ანმეტის და ასევე სოფლების კეთილმოწყობის, სახელდობრ, სავალი გზების, ბაღების, სკვერების, შადრევნების გაკეთება. ყველა სოფელში ჩაიდგა ახალი მოსაცდელეები, ამ საქმეების შესასრულებლად მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდა.

მე როგორც ქვემო ალვანსა და ასევე შირაქში — სოფელ კასრისწყალში მაცხოვრებელი, მინდა გავაცნოთ იქაური მოსახლეობის მდგომარეობა, რომლებიც უკიდურესად გაჭირვებულ პირობებში ცხოვრობენ, მათ მარცვლეულის გარდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის ბუნებრივი კლიმატური პირობები არ გააჩნიათ და ზოგჯერ მარცვლეულის მოყვანაც კი შეუძლებელი ხდება. ის ტერიტორია და იქაურები უდაბნოს კლიმატის პირობებში ცხოვრობენ. ნალექების მინიმალური რაოდენობაც კი არ მოდის. არ არ-

სებობს სარწყავი საშუალებები და წარმოიდგინეთ სასმელი წყალიც კი დეფიციტურია, რაც არის, ისიც მლაშე წყალია. ძალიან ხშირად, ანმეტის საკრებულოს განსასჯელი ხდება იმ მოსახლეობის ასეთი მძიმე მდგომარეობა.

ამ პატარა სასახლევრო სოფელ კასრისწყალში დაიდგა ფიჭური კავშირგაბმულობის მაგთის ანტენა და გარემოს მოწყვეტილი დასახლება დაუკავშირდა რაიონის ცენტრსა და მთლიანად საქართველოს.

კასრისწყალში სოფლის გზები კეთილმოეწყო. რაიონის ხელმძღვანელობა ხშირად სტუმრობს სოფელს. გულთან მიაქვთ მათი გასაჭირი და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან.

პირადად მე, რა მტკივნეული საკითხიც კი დავაყენე რაიონული ხელმძღვანელობის წინაშე, ყველა პრობლემა დადებითად გადაწყვიტეს.

ბავშვობიდანვე ჩემი ოცნება იყო, რომ გაჭირვებული ადამიანები აღარ მენახა. ახლა კი ჩემი ოცნებაა, უცხოეთში გახიზნული ახლობლები და ყველა ჩვენი ქვეყნის მოქალაქე დაბრუნდეს სამშობლოში, ვნახოთ ერთიანი და ბედნიერი საქართველო და იმედი მაქვს, ჩემი ოცნება ჩემივე სიცოცხლის პერიოდში ამისრულდება.

დაიხ, სახელოვანი ოჯახის — გოჩიაშვილების წევრად გახდომის დღიდან ვგრძნობდი, რა დიდი და საპატიო ტვირთი მარგუნა უფალმა. ჩემთვის სასიამოვნოა ოჯახის უფროსებთან, ანუ დედამთელ-მამამთელთან ურთიერთობების გახსენება. ისინი ჩემთვის ცხოვრების დიდი მაგალითები და დიდი მასწავლებლები იყვნენ. ამას მაშინაც ვგრძნობდი, მაგრამ ახლა განსაკუთრებით, რითაც მუდამ ვამაყობდი, ვამაყო და მომავალშიც ვამაყო...

ესაუბრა ლაშა-გიორგი პრავეიშვილი

იზა ჯაფარიძე

ოქალო, 1981 წელი, 11 ივნისი

ნანსუცევი პოემიდან „თუშეთი“

ახდა ოცნება-ძალმიდეული ნისლი გაცურდა კესელის ციდან და შენი ხმები ცადაწვეული ახალ თაობებს უხმობს მთებიდან.

მთა გრგვინავს, ქუხს და ხმაი მღვღინავს, იქნებ წარსული აწმყოს მერნია, ჩემო მწყემსო და ფარის მეცხვარეგ, დარდი წახდა და რწმუნად შექცია.

მამულთ, ტკივილს ჭრილობას გუხვევ, კაცი გზას გაჰყვავ ადმა მიმავალს, ძველ გზას დაადგა ისევ მთიელი, აუხდა ნატვრა მთათა ბინადარს!

მეც შეაბჯრე გარ ახალ ცხოვრების, უნდა ემატოს აკვნებს აკვნები, საქართველოსთვის, სამშობლოსათვის, ღრუბლების მკერდზე დაგვსახლები. ზორორძაძე

წუთები რბიან, ბილიკს გნებდები, მორბის სიმღერით ალაზნის წყალი, დუმილით მიშერს ციხის კედელი, მტერთა რბევისგან ნაპარტახალი,

და ჩემი ფიქრი უფრო მძიმდება, რამდენი ტვირთი უნდა გატარო? და მომავალი რასაც მპირდება შენ ხარ ტბათანავ, მთების სარდალო!

და ისმის ჩქამი დილაადრიან, მოსავალს იმეის პურის მთესველი, გიდაც ჩამხანის, გიდაც მეძახის, აი, აქ არის შენი ფესვები!

აი, აქ ისმის შენი მთა-ბარის წარსულის ხმა და მომავლის ხმები: — არ მიატოვო ადგილის დედა, — არ მიატოვო მალაღი მთები!

თორემ გიდაცა, უცხო, აშარი ჩვენს დიად წარსულს ურცხვად გადაშლის!

*** ჩემო თუშეთო, მოგელ... მელოდი? მე გამოგუსხლტი დუმილს ხელიდან, კვლავ შენთან ვდგავარ, წითელი ღვინო იღვრება პაპის საწინახელიდან.

სტორის ხეობას ნისლევი მოსავს, მოსავალს იმეის პურის მთესველი, გიდაც ჩამხანის, გიდაც მეძახის, აი, აქ არის შენი ფესვები! 7

„ნიავქალა“

ჩემი იზა,

უპირველესად გილოცავთ გაზეთ „კავკასიის“ ათი წლის იუბილეს თქვენ და სარედაქციო კოლეგიის ყველა წევრს. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს გაზეთი გვაწვდის ინფორმაციას საქართველოს და ზოგადად კავკასიის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ეროვნულ პრობლემებზე, ასევე მალაღმსახურულ დონეზე იბეჭდება წერილები. პოეზიაზე, მუსიკაზე, ხელოვნებაზე, გამრჯე გლეხ-კაცსა თუ დამსახურებულ, გამოჩენილ პიროვნებებზე. კარგა ხანია „კავკასიაში“ მკითხველთა დიდი მოწონება და სიყვარული დაიმსახურა.

იზასთან ჩემი მეგობრობა 1972 წლიდან დაიწყო. იგი ხევესურეთში გაიქცა, კობა არაბულთან ერთად იყო ამოსული ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით მამინ ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანისთვის უკვე მოზადებული იყო გზის გამყვანი სამშენებლო ორგანიზაცია, რომელსაც მთავარი ინჟინერი თენგიზ ჩალაძე ხელმძღვანელობდა.

ბარისახოს სიახლოვეს, ლულის ჭალაში, გვერდიგვერდ სამი გვირაბის გაყვანა უკვე დაწყებული იყო. მდინარე არაგვის პირას კორმაში მშენებელი მუშაოსამსახურეებისთვის სახელდახელო პატარ-პატარა ხის კოტეჯები იყო ჩადგმული. სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით იზა ჯაფარიძე მოვლინებული იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“, რათა მანქანის ფარეხები ბარისახოს მოპირდაპირე მხარეს, დაბლა არაგვის იქით, ვრცელ მინდორზე ხატის ჭალაში უნდა აეშენებინათ. რედაქციის ჩარევის შემდეგ შეჩერდა. ამ დროიდან დამეგობრდი იზასთან და მას შემდეგ, არაერთი წერილი გამოვაქვეყნე




„კავკასიის“ მოაზაზენი

გილოცავთ!




**ლაშა-გიორგი
კრავეიშვილი**



**ინა
ჯაჭვაძე**



**ლიანა
გივიაძე**



ივანე წიკლაური



რემონ კობიაშვილი

**გაზეთ „კავკასიის“
ათი წლის იუბილესთან
დაკავშირებით საკატირო
სიგელებით დაჯილდოვდნენ
სარედამციო კოლეგიის
წევრები.**

მრავალწამიერ, კოლეგებო!..



ჯუბა გოგრიჭიანი



გიორგი სარანაშვილი



ეზნია ხეთაშვილი



გულო კობიაშვილი




**ლევან
ცალაშვილი**



ლეილა არჩევაშვილი



ნატა ბორჯაშვილი



ნუგზარ ილორიძე




**მარინა
თეჭთუშანიძე**



ომარ მარუშაშვილი



კობა ბელოძე



გიორგი ირუაძე



დამფუძნებელი, გამომცემელი
და მთავარი რედაქტორი

ინა ჯაჭვაძე

რედაქტორი
ლაშა-გიორგი
კრავეიშვილი

რედაქტორის მოადგილე
ლიანა გივიაძე

სარედამციო კოლეგია: ივანე წიკლაური, ჯემბერ გოგრიჭიანი, რემონ კობიაშვილი, გიორგი იჩუაძე, ნუგზარ ილორიძე, ლევან ცალაშვილი, მარინა თეჭთუშანიძე, ნატა ბორჯაშვილი, ლეილა არჩევაშვილი, გულო კობიაშვილი, გიორგი სარანაშვილი, მზია ხეთაშვილი, ომარ მარუშაშვილი.

გაზეთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად ამაზე პასუხს მასალაში შეტანილი ფაქტების სისწორეზე, ავტორთა მოსაზრებები შესაძლოა არ ეთანხმებოდეს რედაქციის პოზიციას. გაზეთიდან მასალის გადამღობვა რედაქციისთან შეუთანხმებლად დაუშვებელია.

მისამართი:
კოსტავას ქ.№14
ტელ: 2-52-16-38
599-79-76-13

დაკავშირდეთ
კობა ბელოძის
დიზაინცენტრში
www.bedoidze.site.ge